№ 16

# იმერეთი

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

კვირა 25 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ბ. ი. გოკიელისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

კვირას, 25 იანვარს, დღის 3 საათზე. ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი

**ლიუბა გერასიმეს ასულის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლათ. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი განსვენებულის მეუღლე; ლავრენტი კონსტანტინეს ძე, დედა ირინე ივანეს ასული რაევისა, შვილები: კნ. ნადეჟდა დადიანისა, ნიკოლოზ, ალექსანდრა კარსკისა, ნინო, თამარ და გიორგი; დები: ვერა გერასიმეს ასული ბელოკონიევისა, ელენე გერასიმეს ასული გრუდიშევისა, ძმა—ნიკოლოზ რაევი, სიძეები თავადი მიხეილ პლატონის ძე დადიანი და სტეფანე ლიუდვიგის ძე კარსკი. 2—2 19.

15 იანვარს ბრძოლის ველზე თავგანწირულ შეტაკების დროს მტერთან მოკლულ იქნა პოდპოლკოვნიკი

**ვლადიმერ ტარასის ძე ახვლედიანი,**

რომლის გვამიც მოსვენებული იქნება ქუთაისში 26 იანვარს, დილის მატარებლით. ღრმა მწუხარებაში მყოფი დაი მიცვალებულისა კნეინა ოსანა ტარასის ასული ჩიქოვანისა და ბიძაშვილი კონსტანტინე დავითის ძე ახვლედიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 იანვარს, ნაშუადღევის ხუთ საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ. 1—1—22

**გამოვიდა და იყიდება**

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

**თხზულებანი**

**ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფასი 60 კაპ. წ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

**ქუთაისი.**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

**საქართველოს ისტორია,**

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),**

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია**

**მ. ზ. კვინიხიძის.**

**უფლებებით.**

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

**კალიგრაფიის** (ლამაზი და ჩქარი წერის) **კურსები.**

(ნებადართულია მთავრობისაგან)

**ვუსწორებ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვკისრულობ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ივ. მიხ. ცინცაძე.** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13. თ.

ს. ს. **ი. გოკიელის** შ-ბის **ქუთაისში**

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

**აბრეშუმის ჭიის თესლის**

**ხ. ხრისტოდულიდის**

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.

**სამკურნალო**

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**კბილის ექიმები.**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდენ

**ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.

**ქუთაისი, 25 იანვარი.**

ხალხოსნობა და ეროვნობა აი ის ორი უაღრესი, ერთმანეთზე დამოკიდებული, ერთიმეორესაგან გამომდინარე და ერთი მეორის შემავსებელი ცნება, რომელზედაც ვამყარებთ ჩვენ ეროვნულ და სოციალურ პროგრამას.

მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენ ვინმემ ხალხის მოღალატობა გვისაყვედუროს; მისი ყოველმხრივი წარმატებისა და გაღონიერების მტრობა დაგვწამოს.

აშკარათ ვაღვიარებთ, რომ ჩვენ მეტათ მავნებლათ მიგვაჩნია გალატაკებული და მიწასთან გასწორებული ხალხის დაიმედება-დანუგეშება სხვადასხვა განუხორციელებელი დაპირებებით და იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენი რჩევა და სამსახური ხალხისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო და მეტი ნაყოფის მომტანია, ვიდრე ათასი ხორცშეუსხმელი დაპირებანი.

მართალია, ჩვენ არ ვემხრობით სოციალისტურ მოძღვრებას, მაგრამ ეს გარემოება არავის არ აძლევს საბუთს დაგვსახოს ხალხის ინტერესების მოწინააღმდეგეთ, ვინაიდან ჩვენ სულ სხვა, უფრო პრაქტიკული და ნაცადი გზით ვესწრაფით მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩვენში გამეფებულია მეტათ პრიმიტიული აზროვნება, რომლის მიხედვითაც არსებობს მხოლოდ კლასობრივი იდეალოგია. კიდევ უფრო პრიმიტიულათ მიგვაჩნია საზოგადოების დაყოფა მარტოოდენ ორ სოციალურ კლასათ, რომელთა შორისაც არ სუფევს არავითარი შემაერთებელი კავშირი. ჩვენ იმის წინააღმდეგ კი არაფერს ვამბობთ, რომ რომელიმე პარტია, ან ჯგუფი გამოვიდეს არჩეულ საზოგადოებრივი კლასის ინტერესების ქომაგათ, ხოლო ის მიგვაჩნია შეცთომათ, რომ კლასობრივი ინტერესის გარეშე ვერაფერს ვერ ამჩნევენ საზოგადოების მდიდარ და მრავალფეროვან ცხოვრებაში და სურთ მეტათ რთული სოციალური ცხოვრების ახსნა და განმარტება მარტოოდენ კლასთა და წოდებათა შორის შეუწყვეტელი მტრობა-ქიშპობის საშუალებით.

პირველათ ყოვლისა არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ საზოგადოებაში მარტოოდენ ორი სოციალური კლასის აღსარება ყოვლად შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა. ვინაიდან, თუ კლასს საერთო ინტერესები ახასიათებს, მაშინ ჩვენ შეგვეძლო გამოგვენახა ადამიანთა თანამედროვე საზოგადოებაში, ორის მაგიერ რაოდენიმე ერთიმეორის მოწინააღმდეგე სოციალური კლასი. ისიც აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კატეგორიის, ან პროფესიის მშრომელი ხალხის ინტერესები ხშირათ ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან და ხანდახან მათ შორის აშკარა ომიც ჩაღდება ხოლმე.

რაც შეეხება კლასთა ურთიერთობის საკითხს, ცხადია, რომ მათ შორის ბრძოლასთან ერთად თანამშრომლობაც არსებობს. უამისოთ ხომ თვით სოციალურ-ეროვნული ცხოვრებაც წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს ჩვენ იმდენათ ნათელ და უტყუარ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ვეჭვობთ ამის წინააღმდეგ ვისმეს შეეძლოს სერიოზული არგუმენტის წამოყენება.

მომავალ საზოგადოებრივი ცხოვრების წესწყობილების ფანტასტიური სურათის დახატვა და მის მოლოდინში გულზე ხელის დაკრეფა, რა თქმა უნდა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ კაცმა ახლანდელ ბედშავ მდგომარეობიდან გამოსაყვანათ გამონახოს რეალური საშუალებანი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდეს თავისუფალი სუნთქვა და ადამიანური ცხოვრება ამ ბედკრულ დედამიწაზე, თორემ ვის რათ უნდა ცარიელი სიტყვები და ამაო დაპირებანი.

ჩვენ იდეალიზმის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია იმისთანა ადამიანი, რომელიც სრული კმაყოფილი ყოფილიყოს არსებული მდგომარეობით და არ შეექნას თავის ოცნებაში სურათი შესაძლოსი, ან სასურველისა, მაგრამ მან ჩვენ ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ დაგვავიწყოს ნამდვილი. ცხოვრება, ჭეშმარიტი არსი და ფანტასტიური არამც და არამც რეალურათ არ უნდა მოგვაჩვენოს.

**ა. თორაძე.**

# ომი.

პეტროგრ. ტელ. სააგენტ.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 22 იანვარი. ოფიციალურათ. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: აღმოსავლეთ პრუსიაში 21 იანვარს ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევდა. ბორჟიმოვის რაიონში სასტიკი ომი ისევ გრძელდება. აქ ძლიერ შეჯგუფულ ჯარს უხდება ბრძოლა ორივე მხრით. იმ მიზნით, რომ გაერღვია ჩვენი ჯარების ხაზი, მტერმა ათივერსის სივრცეზე მოათავსა 7 დივიზია (დაახლოებით ორი კორპუსი) ზოგიერთი დივიზია, მხოლოდ ერთ ვერსზე იყო მოთავსებული. ჩვენი კონტრ-იერიშები დაიწყო 20 იანვარს, ღამით, რომლის დროსაც მთელ ფრონტზე დაიწყო ხიშტით საშინელი ბრძოლა. ჩვენ ვაიძულეთ მტერი გადასულიყო თავდაცვაზე და ბორჟიმოვთან ავიღეთ იერიშით მტრის თხრილების ორი ხაზი. გუმინთან მტერი უკუგდებულია. განსაკუთრებულს ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ, ჩვენი ჯარი შეიჭრა ვოლიაშიდლოვსკის სასახლის გარემოში, რომელიც მტერს ეკავა ორი დღის განმავლობაში, თუმცა არყის სახდელი ქარხანა, რომელიც ამ გარემოს გვერდზე იყო მტრის ხელში რჩებოდა 21 იანვრისთვის. ბრძოლა გრძელდება ისევ იმნაირივე სისასტიკით.

კარპატებში ბრძოლა გრძელდება მდ. ლაბორჩის და უჟოკის გადასავალთან. ამ რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და დაატყვევა 200 კაცამდის და იხელთა 10 ტყვიის მფრქვეველი. ტუხოლკის რაიონში ჩვენი ჯარი მამაცურ წინააღმდეგობას უწევდა აქ მტრის დიდძალი ჯარისაგან მოტანილ იერიშებს, სადაც პასუხი გასცა ათამდი შეუპოვარ მტრის იერიშს, რომლებიც უკუაგდო და სასტიკი ზარალი მიაყენა მას.

**პეტროგრადი.** 23 იანვარი. ბრძოლა ბზურაზე და როვკაზე გრძელდება. ჩვენი ჯარი გადავიდა იერიშზე, გადიარა მდ. ბზურა და მის შესართავთან ხელთ იგდო მტრის რამდენიმე პოზიცია. დაჰოვთან ჩვენ ამოვრეკეთ გერმანელები მათი სიმაგრიდან, რომლებიც ხიდის ყურში იყო მოთავსებული. ბორჟიმოვთან და გუმინთან ჩვენსა და გერმანელების ჯარს რიგრიგობით მიაქვთ ერთმანეთზე იერიშები, რომლებსაც თან სდევს საშინელი საარტილერიო ცეცხლი. ვარშავისა, სკვერნევიცისა და ვისლის მარცხენა მხარეზე კერძო შეტაკებები ხდება. ნიდაზე მტრისგან გაკეთებული ხიდი ჩვენმა ჯარმა ააფეთქა და ამიტომ მტრის ცდამ, რომ იერიშზე გადმოსულიყო მდ. ნიდასთან, უშედეგოთ ჩაიარა.

კარპატებში უჟოკის მხარეზე, ჩვენი ჯარების თავდასხმა გრძელდება. ამ რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 3 ათასი ტყვე ავსტრიელი. უჟოკის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ ვაკავებთ მტრის საგრძნობელ ძალების იერიშებს.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 23 იანვარი. ოფიციალური. ჰავასის სააგენტო იტყობინება: 22 იანვარს, საღამოთი, ბელგიაში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. არასის დასავლეთით, ლილის გზაზე, ჩვენ დავიკავეთ მტრის თხრილები. გებიუტერნის ახლოს ჩვენმა არტილერიამ დიდი ზარალი მიაყენა მტრის ერთად შეჯგუფულ ურმებს. მდ. ენის მიდამოში, ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ზარბაზნები, წამლის ყუთები ავაფეთქეთ და ჰაერო პლანები უკუვაქციეთ. ვერდენში, ჩვენ ჩამოვაგდეთ ჰაეროპლანი, და მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ. ელზასში, გერმანელების იერიში მათთვის საზარალოთ დასრულდა.

**პარიზი.** ლილის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლა იყო. რომელმაც ნიუპორის რაიონში ძლიერ სასტიკი ხასიათი მიიღო. დანარჩენ ფრონტებზე მტრის იერიშები ყველგან უკუვაგდეთ. მასიჟის რაიონში, გერმანელებმა ისარგებლეს ნაღმების აფეთქებით და წინ წამოიწიეს, მაგრამ საჩქაროთ ისინი ისევ უკუვაქციეთ და ჩვენი პოზიციები დავიკავეთ.

## ინგლის-ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ქაირიდან იტყობინებიან, რომ იმ დროიდან, როდესაც მტერმა მოინდომა სუეცის არხზე გადასულა, ბრძოლა არ შეწყვეტილა. ოსმალებმა მოიტანეს ახალი იერიში. გუშინ ისმოდა ზარბაზნის სროლის ხმა. ოსმალები სთხრიან ახალ თხრილებს და მოაქვთ სურსათი. ხმებია, რომ მათ სარდლობს გენერალი ფონ რესსენშტეინი. ქაიროში მოიყვანეს 250 ტყვე. მათში 9 აფიცერია.

**მოსკოვი.** ქალაქის საბჭომ გადასდვა 100 ათასი მანეთი კავკასიელ გამოქცეულებისათვის.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ მთელი სივრცე ინგლისისა, ირლანდიის ირგვლივ და მასთან პა დე-კალეს სრუტეც გამოცხადებულია საომარ ზაზათ. ამიტომ ყოველი კომერციული გემი, რომელიც იქნება ხსენებულ ადგილებში შემჩნეული, მყისვე ჩაძირულ იქნება, და მასთან ყოველთვის შეუძლებელია წინასწარი გაფრთხილება. ნეიტრალურ სახელმწიფოების გემებიც ამნაირათვე უნდა გაფრთხილდენ, რადგან ინგლისის საიდუმლო ბრძანებით, ინგლისის ყველა გემმა უნდა ააფრიალონ ნეიტრალური ბაირაღები და გემებს მოხსნან ყოველი ნიშანი და წარწერა. აგრეთვე აკრძალულია მიმოსვლა შოტლანდიის ნაპირებზე, 30 მილის სიახლოვეზე.

### თემთა პალატაში.

**ლონდონი.** უპასუხა რა შეკითხვებზე, გრეიმ სთქვა, რომ ინგლისის მთავრობას დროზე არ ქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ავსტრია დიდი ხანია ეპირებოდა სერბიისათვის ომის გამოცხადებას.

პირველი ცნობა ამის შესახებ ინგლისის მთავრობამ მიიღო ჩვენი ელჩისაგან რომში, სადაც ჯიოლიტიმ პარლამენტში განაცხადა, რომ ავსტრიას სურს სერბიას ომი გამოუცხადოსო. ეს ცნობა ინგლისმა მიიღო მხოლოდ 2 თებერვალს 1914 წ. ის გარემოება, რომ ავსტრიას უნდოდა ომის გამოცხადება სერბიისათვის ჯერ კიდევ 1913 წელს, მტკიცდება იმით, რომ ჰერცოგის მოკვლა არ იყო ომის გამომწვევი მიზეზიო.

**პარიზი.** რუმინიის აკადემიის თავჯდომარემ ისტრატიმ სორბონში წაიკითხა ლექცია—„რუმინიის ისტორია". ლექციას დაესწრენ რუმინიის ელჩი და საელჩოს სხვადასხვა წარმომადგენელი. შეეხო რა რუმინიის დღევანდელ სამზადისს, ორატორმა სთქვა, თუ ქვედა დუნაიზე დღეს ზარბაზნების ჭექა-ქუხილი არ ისმის, ამაში დამნაშავე რუმინელები კი არ არიან, აქ მხოლოდ მათ ხელს უშლის მისგან დამოუკიდებელი გარემოებანიო. მაგრამაო, განაგრძო ორატორმა, დადგება ის ნეტარი დრო, როცა თქვენ გვერდზე, თქვენთან ერთად რუმინიის ხალხიც იბრძოლებსო და მერწმუნეთ, ის შესძლებს დაამტკიცოს, რომ მას აქვს უფლება შექმნას ლათინური სახელმწიფო ფორპოსტში და ევროპის აღმოსავლეთშიო.

**სევასტოპოლი.** ავიატორი, მიჩმანი სვეტუხინი ზღვაზე ფრენის დროს ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა.

**თფილისი.** ოსმალებსა და ქურთებს შორის უკმაყოფილებაა. უკანასკნელ დღეებში ტყვეების მოყვანა შესწყდა. მათ ათავსებენ განსაკუთრებულ კარვებში სარიყამიშის ახლოს. ტყვეების მოყვანის შეწყვეტა გამოწვეულია გადამდები ავადმყოფობის შემოტანით თფილისში.

სამხედრო საოლქო სასამართლომ დახრჩობა გადაუწყვიტა ელიავას და ამირაღოვს კი საუკუნო კატორგა. მათ ბრალდებით გორის მაზრის უფროსის ბლაუს მოკვლა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ოგანიერის მოგზაურობა ინგლისში.

პარიზელებმა ოგანიერის ინგლისს წასვლა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როდესაც იგი უკან დაბრუნდა. მინისტრმა გადაიარა ლამანშის სრუტე იმ კონტრ-ნაღმოსნით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ინგლისის გემებთან ერთად ყუმბარებს უშენდა გერმანელთა ჯარებს და ბატარეებს ნიუპორტის ნაპირებიდან.

ინგლისელები აღტაცებული არიან იმ მკაცრი გაკვეთილით, რომელიც ინგლისის ესკადრამ გერმანელების გემებს მისცა,—სთქვა მინისტრმა. ეს გაკვეთილი კიდევ განმეორდება, თუ მტერი კვლავ განაგრძობს ინგლისის ნაპირებთან თარეშობასო.

მინისტრს უნახავს პორტსმუტში ინგლისის ახალი კრეისერები 28,000 ტონის წყალწყვით, რომლებიც საათში 25 კვანძს აკეთებენ და 8—8, 380 მილიმეტრიან ზარბაზნებით შეიარაღებული არიან ახალი. კრეისერები პირდაპირ საკვირველ სანახაობას წარმოადგენენო.

— —

მიღებული ცნობებით, კერბელში ოსმალებს შიიტების წმიდა ადგილები გაუძარცვავთ, წაუღიათ ბევრი ნაშთი, ღირებული ორ მილიონ გირვანქა სტერლინგათ. იმავე ცნობებით, ოსმალების რაზმი, რიცხვით ორი ათასამდი, შეიჭრა სპარსეთის ტერიტორიაზე და გაემართა ახვაზისკენ, სადაც ინგლისელების ნავთის მადნებია. გზა და გზა ოსმალებს უერთდებოდენ ქიზათ მაგვარები როგორც ამბობენ, ნავთის მადნების დამცველი ბახტიარები ცდილობენ ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწიონ.

— —

„რუს. სლოვოს" აცნობებენ, რომ ლოძში, როდესაც ოგროდოვის ქუჩაზე გერმანელების პატრული დადიოდა, ვიღაცამ სროლა აუტეხა. კომენდანტის განკარგულებით, იმ სახლებში, საიდანაც სროლა მოისმა, მცხოვრები ყველა მამაკაცი—15—20 წლ. სამხედრო საველე სასამართლოს გადაეცა.

— —

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავმა ინგლისის ორთქლმავალი „ბენკრიუჩენი" ფლიტვუდის ახლოს ააფეთქა. ეკიპაჟი ფლიტვუდში გადავიდა.

იტყობინებიან, რომ იმავე ნავმა დღის 3 ს. და 40 წუთზე მესამე ჩაძირა ორთქლმავალიო.

„ვეჩერ ვრემია" გადმოგვცემს, რომ გენერალი გარიბალდი პარიზსა და ლონდონს მიდის. მას სურს პოლიტიკური წრეები დაარწმუნოს, რომ იტალიის უმრავლესობა ომში ჩაერევაო; ვინიცობაა, იტალია ნეიტრალიტეტს დაიცავს, მაშინ გარიბალდი კორპუსს შეადგენს 300,000 მოხალისეთაგან.

— —

უკანასკნელათ რატნიკების გაწვევის დროს მოსკოვიდან ასი ვექილი გაუწვევიათ ომში. მოსკოვიდან ომში 400-მდე ვექილი წასულა.

— —

პარიზის ბირჟის ორგანო გვატყობინებს საყურადღებო ცნობებს მოკავშირე სახელმწიფოების ფინანსის მინისტრთა კონფერენციის შესახებ, რომელიც ახლო მომავალში ლონდონში იქნება მოწვეული.

კონფერენციაზე გარჩეული იქნება საკითხი საერთო სესხის შესახებ, რომლის თავდებიც თვით მოკავშირე სახელმწიფოები იქნებიან. ხელის მოწერა ერთდროულათ დაიწყება პარიზში, ლონდონში, პეტროგრადში, მოსკოვში, ნიუ-იორკში და ტოკიოში. სესხი იქნება 20 მილიარდ ფრანკამდი, რომელსაც თანდათანობით გადაიხდიან. ეს ფული მარტო სამხედრო საქმეებს მოხმარდება.

## ოპოზიციონერი მოძრაობა ავსტრო-უნგრეთში

ვენის გაზეთების კილო ადასტურებს ავსტრიაში დაწყებულ ოპოზიციონურ მოძრაობის შესახებ ცნობას, სადაც ძ...

## პატარა ჩანგი.

### აკაკის.

ხატებავ ერის სულისა,
მამულის სატრფო მგოსანო!
ბედს არ შეუდრკე, მხნედ იყავ,
თმა თეთრა, ჭაღაროსანო.

სამშობლოს ტრფობა რომელმაც,
მარადის გულში ატარა,
დახატა თორნიკ, ბიძინა,
ელიზბარ, კახი პატარა,

მას „ცა ფირუზა" სამშობლო,
ხმელეთ ზურმუხტი ქვეყანა
მრავალ ჟამიერს უმღერის:
ნიავი, სიო, ტყე—ყანა.

კვლავად გვასმინე ჰანგები
ზეციურ სიმთა ჟღერისა,
გვასწავლე ტრფობა მამულის
და ჩვენ წამებულ ერისა!

კვლავ აგვიწერე მწუხარე
ჩაფიქრებული მთაწმინდა;
იცოცხლე, კვლავად იცოცხლე!
იქნებ ასრულდეს რაც გინდა!..

**სიმ. წეველი.**

ქუთაისი, 21 იანვარი.

— —

### მატარებელში.

(ნაწყვეტი).

მიჰქრის და მიჰქრის მატარებელი,
ვზივარ მოწყენით, ვზივარ მარტოკა,
ვინ მისწვდეს სული თუ რად შეშფოთდა,
ან და ზღვათ გული რამ აატოკა?
შავად ჩამოშლილს ფიქრის ხუჭუჭ თმებს
წეწავს და არხევს სევდის ნიავი,
ნაღვლათ იშლება სევდის გულ-მკერდზე
იქვთა ჰაისი,—სულის მყინავი.
შავად მოცელქობს შავ სამოსელში,
შავ ნისლათ მბურავს შავ ფიქრთა ღამე,

მიჰქრის და მიჰქრის მატარებელი,
ცრემლთ მდინარებით,—ცრემლით ვინამე.
ვერ ვხედავ ვერსით აზრს სიცოცხლისას,
ამაოდ ვიწევ ფრთა შლილ გედისკენ,
შორედ მჩქეფარე ბროლ თეთრ ტალღებში,
მაღლა მალილოს ტბათ აშლით თეთრ ტბისკენ.

—

მიჰქრის და მიჰქრის მატარებელი,
ვზივარ მოწყენით, ვზივარ მარტოკა,
ვინ მისწვდეს სული, თუ რად შეშფოთდა,
ან და ზღვათ გული რამ აატოკა.
ან რად ვესწრაფი სიცოცხლის ყვავილს,
სიამეთა შლილს სიცოცხლის სუნთქვას,
რად გაურბივარ საჯოჯოხეთო
ცრემლად აწყვეტილს საფლავის ცივ ქვას.

**ლადო მაჭავარიანი.**

— —

* * *

ბავშობიდანვე ბედით განწირულს,
სევდის აჩრდილი არ მშორდებოდა—
დუხჭირ ცხოვრების შავ-ბნელ საკანში,
გული მიკვნესდა, სული მხდებოდა...
დიდხანს ვიტირე ცრემლთა თოვითა,—
მიწასა სწვავდა ცრემლები ჩემი,
მაგრამ ვერ მივწვდი მიზანს გლოვითა,
ვერ დავამყარე სულის ედემი...
დრო მიდიოდა... მე ვიწვებოდი,
მე ვიწვებოდი, როგორც სანთელი
მოძმეს ამაოდ ვევედრებოდი,
ამაოდ ცისკენ აღმეპყრო ხელი!
მაგრამ, როდესაც ვეღარ შევძელი,
და ვერც მიხსნიდა შიში და ძრწოლა,
ბრძოლის ჟინითა ავღმართე ხელი
და შევიყვარე ბედთანა ბრძოლა!
მას შემდეგ ვებრძვი მუხთალ წერასა,
მას შემდეგ სული ბრძოლით სულდგმულობს,
გული მივანდე სიმათა ჟღერასა
და ბაგე ჩემი შვებით ბულბულობს!

**დ. ახვლედიანისა.**

### ჰო, რა გულით ვიტირებდი.

—:—

ზამთრის დღეა... ცა ღრუბლებით
დაფარულა... ირგვლივ ბნელა;
მაღლით თოვლის ფიფქი მოჰფრენს,—
მინდორს ჰფარავს ნელა-ნელა.
არც ბუჩქნარი, არც ხე, ვარდი,
არცა წყარო მოჩქეფარე;
ყოველივე სულსა ღაფავს,—
ობლად რჩება არე მარე!..
ოჰ, რა გულით ვიტირებდი,
ცრემლს დავღვრიდი მდუღარესა,—
რომ მომავალს არ ველოდე,—
არ ველოდე ნათელ დღესა! .

—

სატრფოს ვუთხარ: ჩემო მთვარევ,
ცის ვარსკვლავო, მონარნარე;
შენით ვცოცხლობ ამა ქვეყნად,—
გევედრები: შემიყვარე!..
მან უარი განმიცხადა...
სთქვა: გამშორდი—კმარა... კმარა!..
დამაობლა მე ტანჯული,
გულს ისარი გამიყარა!..
ოჰ, რა გულით ვიტირებდი,—
ცრემლს დავღვრიდი მდუღარესა,
რომ მომავალს არ ველოდე,—
არ ველოდე ნათელ დღესა!..

**დ. ელიოზიშვილი.**

### გ ვ ე ლ ს!..

ჰა, ახლა კი გავიღვიძე გავიცანი შენი
გული,
გიცანი და მისთვის მძაგხარ, მეჯავრები,
მეზიზღები.
მე ამ ქვეყნათ ღმერთად გიცან, შენ მოგანდე ჩემი სული,
შენ კი, გველო, ძმობის ნიშნათ გამიყარე
ბორკილები!..

—

ეხლა კმარა!.. შორს ჩემგანა, გველო,
გასწი, გამეცალე,
თუ არ გინდა რომ ამ ქვეყნათ, შევიძულო
კაცის სახე!..
სულ ერთია შენ ამ გულში, ველარ ჰპოვებ რაც რომ ნახე,
იგი მოკვდა, დაიმარხა, რაც რომ შენ მე
მიკარნახე!..

**პ. ფრანგიშვილი.**

### ბულბული აღარ უსტვენდა...

ზამთრისაგან გათოშილი ცა გაკრიალდა, დაიწმინდა, შავ ღრუბლებისაგან განთავისუფლდა და მის სივრცეზე ოქროს მფრქვევ ეტლით ბრწყინვალე მზემ მედიდურად გაინავარდა.

თოვლისგან მძიმედ შებოჭილი არე უცბად შეინძრა, გამხიარულდა, შეუბრალებელი ბორკილი მილეწ-მოლეწა, გულის სიღრმიდან ამონახეთქ სიმხურვალით ტყვიასავით დაადნო და წყლად ქცეული—განრისხებულმა—უფსკრულს გასტყორცნა; თითონ ნორჩი ბალახით გახავერდებული საბანი გადიხურა, ყვავილებით თავი კოპწიად მოირთო და მზის მხურვალე სხივებს ზურგი მიუფიცხა.

ცელქი ნიავი ონავარივით დათარეშობდა: ხან ძირს მდელოს უძღურ მჟღ... ნარეთ საამურად აზიზინებდა, ხანკი მაღლა მთის წვერს შურდულივით აიჭრებოდა და ჯერ ისევ ტიტველ ხეებს გულმოსულად არხევდა, შეჰხაროდა, შესისინებდა, თითქოს სურდა ღრმა ძილიდან გამოერკვია, კოკორი გადაეშალა—ფოთლად ექცია და მასთან ერთად ეშრია ლათ, ეთამაშნათ.

გაზაფხულის ბუნება ყველას ახარებდა, სიცოცხლის ძალას აძლევდა, აგიჟებდა, აცელქებდა და თავბრუ დამხმელ ნექტარს ასმევდა. ის—კი მარტო მარტო იჯდა ოთახში და რაღაცას ფიქრობდა.

— აგერ ჩემი ბულბული!—უცბად თინას ფრინველის ხმა მოესმა და საჩქაროდ ფანჯარასთან მიიჭრა; ტოროლა კი ფრთხიალით მაღლა ზეცისკენ მკვირცხლად მინავარდობდა და თავის გაბმულ სიმღერას სამოთხის მგზავს ბუნებას უხმატკბილებდა.

— ის არ არის!—წყენით წარმოსთქვა თინამ და დაღვრემილი ფანჯარას გადაეყუდა.

მის წინ თაიგულსავით შეკრული ვარდის ბუჩქნარი თავის ტოტებს ფანჯარასთან ალერსიანად ახვევდა, ნორჩ კოკრებით ნაზად თავს უკრავდა, ახლად გამოსულ სისხლივით წითელ ვარდის ფოთლებით თინას სახეზე ულამუნებდა, თითქოს ჰკოცნიდა, და ალერსიანად შეჩურჩულებდა: „ნუ დაღონდები, ჩემო ძვირფასო, საცაა მოვა ბულბული და თავის გალობით მეც ვარდს გადმიშლის და შენც სიყვარულს გიმღერებს"-ო.

თინა დიდხანს გასცქეროდა ყვავილებით შეფერადებულ ველ მინდვრებს და ახლად შეფოთლილ ტყეს, რომელსაც ნელი ნიავი საამურად არხევდა და თვალწარმტაც ბუნების სიმშვენიერით, ის ...ზუმად, ხმა ამოუღებლივ სტკბებოდა.

ლიან ეშინიათ უნგრეთის მნიშვნელობის გაძლიერებისა. გაზეთები აღნიშნენ, რომ ურეიხსტაგოთ და უცენზუროთ ავსტრიის ინტერესების დაცვა საკმაოთ შეუძლებელია. ქვედა ავსტრიის სავაჭრო პალატის თავჯდომარემ ეკსპერიმ შტიურგკს დეპუტაცია გაუგზავნა, რომელიც ცენზურის წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებს და მოითხოვს თავისუფლებას საზოგადო აზრის გამოსათქმელათ. შტიურგკი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დაპირდა. „ბატონთა პალატამ“ გადასწყვიტა შტიურგკს გაუგზავნონ დეპუტაცია ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან გოლუხოვისა, სილვატარუკასი, ეკსნერისა და პლენერის ხელმძღვანელობით და სთხოვონ მას მიიღოს ზომები, რათა მცხოვრებლები პურით უზრუნველ ჰყოს, ამასთან მიუთითებს გერმანიის მაგალითზე, რომელიც პურის რეკვიზიციას ახდენს, იმავე დროს ავსტრიას ჰუნგრეთის მაგნატებისა ეშინია და ვერ გაუბედნია გერმანიასავით მოიქცეს.

დიდმნიშვნელოვან მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საერთო ფინანსის მინისტრ ბილინსკის გადადგომა, რომელიც ბურიანთან უთანხმოებით არის გამოწვეული. ხმებია გავრცელებული, ვითომ ბერლინში დაჟინებით მოათხოვს, რომ ჰუნგრეთის პოლკები გალიციიდან ტრანსილვანიის დასაცავათ გაიგზავნოს. „ვენაში შეწუხებულნი არიან ბერლინსა და ბუდაპეშტის შორის უმაშვალო მოლაპარაკებით ავსტრიის საზარალოთ, რომელიც ომის მსხვერპლი უნდა გახდეს, რადგანაც მას ძალ არ უძს, დაიცვას თავისი ინტერესები, რისთვისაც მას ხმის უფლება აქვს წართმეული“,—სწერს „ნ. ფ. პრესე“, დაჟინებით მოითხოვს სუსტ ბილინსკის ენერგიული კერბერით შეცვლას.

## იტალია, რუმინია და გერმანია.

„რუსკოე სლოვო“ სწერს: არაჩვეულებრივი საერთაშორისო ომი არ კმაყოფილდება იმით, რომ უკვე ათი სახელმწიფო ჩაითრია თავის დამღუპველ მორევში და ცდილობს სხვა სახელმწიფოებიც მიიზიდოს. გერმანიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი მალე გაიზრდება იტალიის, რუმინიისა და პორტუგალიის შემოერთებით; უკანასკნელმა კიდევაც გააგზავნა ჯარი ანგოლუსა და ეგვიპტეში ინგლისელების დასახმარებლათ. ახლა გერმანელთა დიპლომატები ცდილობენ როგორმე მოახერხონ, რომ იტალიამ ნეიტრალიტეტი დაიცვას. უკიდურეს შემთხვევაში მას ემუქრებიან ლომბარდიაში შეჭრით და ისე ავაოხრებთ იქაურობას, როგორც ბელგია და პოლონეთსო. ამ მუქარამ შესაძლებელია სხვა ვინმე შეაშინოს და ძველი რომაელების შვილების გულს კი ოდნავაც ვერ აათრთოლებს. ავსტრიის არმია პაწაწინა სერბიის მამაც ჯარებისაგან სამჯერ ნაცემი და აოხრებული, რომელიც ახლა ს ჩქაროთ შედგენილ მილიციასა გავს, ვერ შეაშინებს იტალიის მთავრობას, რომელსაც შეუძლიან ბრძოლის ველზე მილიონ ნახევარი დაწვრთნილი, ბრძოლაში ნაცადი და მამაცი ჯარი გამოიყვანოს. რაც შეეხება გერმანიის არმიას, მას დრო არა აქვს იტალიას ებრძოლოს, რადგანაც სჭირდება დიდი ძალღონე, რომ თავისი პოზიციები შეინარჩუნოს და გაუმკლავდეს მოკავშირეთა თავგანწირულათ მებრძოლ ჯარს. თუ მართლა იმპერატორმა ვილჰელმმა გაგზავნა ჯარი სერბიაში შესასევათ, თავისთავად ცხადია, რომ ეს ჯარი უნდა იყოს შედგენილი ლანდშტურმებისაგან, რომელსაც არ შეუძლია რაიმე გადამწყვეტი როლი ითამაშოს საერთაშორისო ომში.

მაგრამ იმპერატორმა კიდევაც რომ შეადგინოს ძლიერი არმია, იგი მაინც სამარცხვინოთ იქნება დამარცხებული, იმიტომ, რომ იტალიელებს არ უყვართ თავის ტერიტორიაზე ბრძოლა. შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევას გერმანია ვერ გაბედავს იმიტომ, რომ გერმანიის არმია არ არის მომზადებული მთებში საბრძოლათ და მას არცა აქვს სამთო ზარბაზნები.

300000 ჯარის-კაცისაგან შემდგარი შვეიცარიის არმია კიდევაც რომ რაიმე სასწაულით დაამარცხოს გერმანიამ, იტალია მაინც ხელშეუხებელი დარჩება, რადგანაც მას შეუძლია დაკეტოს სენ გოტარდისა და სიმპლონის რკინის გზის ხვრელები და გერმანიის ჯარი საომარ ასპარეზს მოსწყვიტოს. ბოლოს კი, გერმანიის მიერ შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შემდეგ, ფრანგების არმიას თავისუფლათ შეუძლია გაიაროს შვეიცარიის ტერიტორიაზე ზევითა გენით მლზარს მოუაროს და დაეცეს ზურგიდან იტალიის მიერ შეჩერებულ ჯარს.

გერმანიის ჯარების ტიროლში შეჭრა ზემოაღნიშნულ მდგომარეობაზე უფრო ძნელია; და აი რატომ: პირველ ყოვლისა გერმანიის არმია იძულებული იქნება ისარგებლოს მხოლოდ ერთი რკინის გზით, რომელიც გადადის ალპებიდან ტრიენტში და გერმანიის ჯარი კიდევაც რომ გადავიდეს ალპებზე, იმათ მოელის დამარცხება იტალიის პირველ ხარისხოვან ციხე სიმაგრეების ოთხკუთხედთან, რომლებიც გარდის ტბის ახლოს არის აგებული.

ასე რომ იტალიელებს კი არ უნდა ეშინოდეს გერმანელების შემოსევის, არამედ გერმანელებს უნდა ჰქონდესთ შიში იტალიის ჯარების ბავარიაში შესვლის.

იტალიას გაჰყვება რუმინია და მოსალოდნელიც არის, რომ ჯერ რუმინიამ დაიკავოს ტრანსილვანია და მერე კი იტალია შეიჭრას ბავარიაში.

ამნაირათ, დუნაის მონარქია (ავსტრია) ჩავარდება ორ ცეცხლ შუა, საიდანაც ცეცხლის ალი გერმანიასაც გადასწვდება. ექვსი თვის განმავლობაში იტალია და რუმინია საკმაოთ მოემზადენ და გერმანიის გაზეთების მუქარა კი მხოლოდ ხელს უწყობს მათ გამოსვლას ბარბაროსების წინააღმდეგ.

ინგლისის უძველესი ორგანო თანამედროვე ბეჭდვითი სიტყვისა „ტაიმსი“ ამბობს: იტალიის და რუმინიის გამოსვლაში უკვე ეჭვი აღარ არისო. ამ ორ სახელმწიფოს მიმატება გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებთან, საბოლოოთ დაარწმუნებს ავსტრიასა და ოსმალეთს თავის უნუგეშო მდგომარეობას და ისინი ყოველი ღონისძიებით ეცდებიან, მათთვის დამღუპველ მოკავშირე გერმანიის ჩამოცილებას და თავის თავზე იზრუნვენ.

ამნაირათ, თუ გერმანია მარტო დარჩა, იმისი მოსპობა ძალიან ადვილი იქნებაო — ათავებს „ტაიმსი“. საკითხი მხოლოდ ისაა, რა მოხდება ამ ორ სახელმწიფოს გამოსვლამდი. თუ კიდევაც რუმინია და იტალია არ შეუერთდებიან მოკავშირეებს, მაშინ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი მაინც შესძლებენ დაამხონ გერმანიის მილიტარიზმიო.

## რუსის საღენერლო კონსული გერმანიის შესახებ.

გერმანიის ტყვეობიდან ჩამოსულმა რუსის საღენერლო კონსულმა ოსტროვსკიმ დანციგში „ვეჩ. ბირჟ. ვედ.“-ში, მოათავსა წერილი, რომელშიც ამბობს:

„მე კარგათ ვიცნობ გერმანიას, როგორც რუსის პატრიოტი, მოვალე ვარ ვაღიარო, რომ ჩვენი მტერი ძლიერია და ომისათვის კარგათაც არის მომზადებული. მისი დამარცხება დიდ დროს მოითხოვს. სტიქიონის წინააღმდეგობა იქნებოდა, თუ რომ გერმანიას მოკავშირენი ვერ დაამარცხებენ. რასაკვირველია, გერმანია ბოლო დროს გათელილი იქნება. კითხვა იმაშია, თუ როდის? გარწმუნებთ, ეს ისე მალე ვერ მოხდება, როგორც მოკავშირეებს სურთ. ჩვენ შეგვიძლია დიდხანს გავძლოთ, რადგანაც უსაჭიროესს საგნებში ჯერ ნაკლს არა ვგრძნობთ. ამ მხრივ უნდა დავამოწმო, რომ გერმანია ჯერჯერობით დიდ საჭიროებას არ განიცდის. დანაკლისის მხრივ გამონაკლისს შეადგენს ნავთი. თუ ბერლინში ნავთის ნაკლებულობაა, სამაგიეროთ სოფელში დიდ უბედურებას წარმოადგენს. თეთრ პურში ჰვავისა და კარტოფილის ფქვილს ურევენ. თუმცა ასეთი პური გემოთი ჩვეულებრივს არ ჩამოუვარდება. ყველა სანოვაგეზე ნიხრია დაწესებული და ბერლინში არავითარი სიძვირე არ არის. ერბო, ხორცი, ლორი და სხვა სანოვაგ ჩვეულებრივ ფასებში იყიდება, როგორც ომის დაწყებამდი. ერთ დროს კვერცხი გაძვირდა, მაგრამ ახლა ისევ გაიაფდა. ფრთხილათ რომ მოიქცენ, ყველა სანოვაგე მათ პურის შემოსვლამდი ეყოფათ. ყველგან უკვე მიწის ხვნას შეუდგენ. ბერლინში სამხედრო მინდორი კარტოფილის დასათესათ არის მოხნული. გერმანიის მუშები უფასოთ მუშაობენ. ჩვენი მუშები კი ტყვეთ არიან წაყვანილი. საჭირო არ არის სიმართლის დამალვა, როგორც დამცირება მტრის ძლევა-მოსილებისა. ყოველ შემთხვევაში რუსეთი ყოველ მხრივ ძლიერია გერმანიაზე და ბოლოს შეეძლო მოკავშირეთა დაუხმარებლათაც დაემარცხებია. როგორც უნდა დაფარონ ჩვენი წარმატება გალიციაში, ბერლინშიც კი იციან, რომ გალიცია ჩვენია. ოსმალებზე ჩვენი გამარჯვების შესახებ, გერმანელები არაფერს ამბობენ“. (კ. მ.)

## ახალი ამბავი.

ჩვენი რედაქციის გამგემ ბ. ია ეკალაძემ გუბერნატორისაგან უკვე მიღო ნებართვა (№ 255) გამოცეს ქუთაისში ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო **დამატებაიანი** გაზეთი „**სამშობლო**“. ბ. ია ეკალაძეს განზრახვაქვს ამ ახლო მომავალში გამოსცეს ხსენებული გაზეთი. ბ. ეკალაძემ უდროობის გამო, ქ-ნ ხოჯევანოვის კერძო პროგიმნაზიაში ამა წლის პირველ იანვრიდან ქართულ გაკვეთილებს თავი უკვე დაანება.

✦ ორშაბათს, 26 იანვარს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადაიხდიან წირვასა და პანაშვიდს ღვთივ განსვენებულის საყვარელი მეუფის გაბრიელის სულის მოსახსენებლათ.

✦ სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსების უფროს ჯგუფში სისტემატიურ ლექციებს შემდეგი პირები წაიკითხვენ: ქართულ ლიტერატურიდან—ჩიტო შარაშიძის ასული, მსოფლიო ისტორიიდან—დიმიტრი უზნაძე, ბუნების—მეტყველებიდან—გიორგი ბადრიძე, კანონმდებლობიდან—შალვა სანებლიძე, პოლიტიკურ ეკონომიიდან—გრიგოლ გიორგაძე და გეოგრაფიიდან—სიმონ მჭედლიძე.

✦ ოთხშაბათს, 28 იანვარს, გიორგი არადელი-იმხნელის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქნება „ჯადოსანი“

✦ გუბერნატორის კანცელარიის ცნობით, ქუთაისის ქალაქის ფერშლათ დაინიშნა ალექსანდრე ჭუმბურიძე.

✦ ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ წარუდგინა სია სხვადასხვა კომისიის თავჯდომარეებისა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ ნუმერი პირველი, მცირე წლოვანთათვის: ჟურნალი ჩვეულებრივადაა შედგენილი.

✦ ოლქის ინსპექტორს ბ. სლოვინსკის ქუთაისის სასწავლებლების დათვალიერება ჯერ კიდევ არ დაუსრულებია. ქართული გიმნაზიის გაკვეთილებზე დასწრებას მან ორი დღე მოანდომა. ბ-ნი სლოვინსკი მოწაფეების ცოდნით კმაყოფილი დარჩა.

✦ ლევან კოკოჩაშვილის საავთიაქო საწყობებმა უკვე მიიღო ყვავილის ასაცრელი ჩირქი.

✦ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს აცნობა, რომ 26 იანვარს ქალაქის საბჭოს კრებაზე სხვა საქმეებთან ერთად გარჩეულ იქნება საკითხი აკაკის ერთდროულ დახმარების შესახებო.

✦ დღეს ქალაქის თეატრში დრამატიული საზოგადოების დასის მიერ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შილლერის ცნობილი პიესა „ყაჩაღები“ დრ. 5 მოქ. და 7 სურათად. მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს.

✦ რედაქციამ მიიღო შავიქრის საბჭოს მიერ გამოცემული [illegible] მის სტატისტიკა“ 1913 წლისა.

✦ 29 იანვარს, ქ. ოზურგეთში ადგილობრივი სამკითხველოს გამგეობა, შენობის ასაგებათ მართავს „სამასკარადო“ საღამოს.

✦ დღეს, 25 იანვარს, ელექტრო თეატრ „რადიუმში“ გრიგოლ გიორგაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო დავა“. ალ. გარსევანიშვილი წაიკითხავს „ქ. ქუთაისის ისტორიიდან“ ოსმალების განდევნა დასავლეთ საქართველოდან მე-18 საუკუნეში.

✦ ძველი თფილისის ქუჩიდან, ქალაქის სასაფლაომდის ამ ჟამათ ძლიერ ცუდი გზა არის. ქუჩაში ისეთი ტალახი დგას, რომ ეტლსაც კი უჭირს გასვლა. ღამით ხომ ერთ ფარანსაც ვერ ნახავთ. მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან. საჭიროა ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს.

## ქუთაისში შაქრის კრიზისი.

შაქრის კრიზისს ქუთაისი კვლავ განიცდის. როცა ამ სტრიქონებს ვსწერ, შაქარი ქუთაისში სანთლით საძებარია. მიუხედავათ ამისა, ამ ერთი თვის განმავლობაში, ე. ი. 16 ქრისტეშობის თვიდან 16 მდგომარე წლის იანვრამდი ქუთაისში სამი ვაგონი შაქარი შემოვიდა, დაახლოებით სამი ათას ფუთამდი, და სად გაქრა ამოდენა შაქარი, ჯერჯერობით გაუგებარი რჩება. ქალაქის გამგეობასთან არსებული საგანგებო კომისიის ერთ წევრთაგანს სახელდობ ბ-ნ დ. ქებაძეს ფაცა-ფუცი და კვლევა-ძიება ძალიან უყვარს, მაგრამ სამწუხაროთ ხშირათ იგი იქ კი არ იკვლევ-იძიებს, სადაც საპოვნელია, არამედ იქ, სადაც არაფერი დაკარგვია და არც არაფერი დარჩენია. ერთმა ცნობილმა ვაჭარმა 21 ქრისტეშობის თვეს 1914 წ. ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან, რკინის გზის ამანათით ოდესიდან მოტანილი ერთი ვაგონი შაქარი მიიღო 904 ფუთი და 10 გირვანქა, ამავე ვაჭარმა მდგომარე იანვრის 3 და 13 რიცხვებში კიდევ მიიღო 80 ფუთი შაქარი დაახლოებით ოთხას ფუთამდი, მაშასადამე, მას ამ ერთი თვის განმავლობაში მიუღია ათასოთხას ფუთამდი შაქარი და იგივე ვაჭარი ყველას შაქარზე უარს ეუბნება, ამ ხნის განმავლობაში ქუთათურმა დანარჩენმა ვაჭრებმა შაქარი მიიღეს ყველამ იმდენი, რამდენიც ერთმა ზემო აღნიშნულმა ვაჭარმა; საყურადღებოა ვიცოდეთ, სად გაჰქრა ამოდენა შაქარი?

და რადგანაც დღევანდელი მომენტის გამო, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი ერთნაირ უკიდურეს გაჭირვებას განვიცდით, ნება გვეძლევა ჩავერიოთ ვაჭრობის საქმეში და ვკითხოთ ქუთათურ ვაჭრებს: რა უყვეს ამოდენა შაქარს?

ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთი ვაჭარი ნამალევათ ას ფუთობით ყიდის შაქარს სოფლის მოვაჭრეებზე და ქალაქის მცხოვრებლებს კი ყინულზე აცურებს. ჩვენ ხშირათ ვლაპარაკობთ და ვსწერთ ხოლმე სოლიდარობასა და ძმობა-ერთობაზე, რომელიც ახლაა საჭირო, თორემ ლხინში ხომ ყველა მაყრები ვართ.

კარგს ინებებს ქალაქის გამგეობა, რომ ამ ანორმალურ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევდეს და ქალაქში შემოტანილ საჭირო სანოვაგეს ვის მოაქ და სად მიაქ თვალ ყურს ადევნებდეს, რომ ქალაქის მცხოვრებლები კვლავ გაჭირვებაში არ ჩაცვივდენ.

**მოკეთე.**

## თეატრი და ხელოვნება.

„**მსხვერპლი**“—პიესა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა, წარმოდგენილი ვ. აბაშიძის მონაწილეობით სამშაბათს, 20 იანვარს.

ფრიად კარგი საღამო იყო 20 იანვარი. ჩვენმა დასმა ყურადღებით მოგვასმენია გედევანიშვილის „მსხვერპლი“. ეს წარმოდგენაც ცხადათ ამტკიცებს, რომ ჩვენი დასის სფერო მხოლოდ ორიგინალური რეპერტუარია. სწორედ ამიტომ არის გასაკვირი, რად ებღაუჭებიან ევროპიულ პიესებს და ისიც, უფრო ხშირად არქივში მდებარეთ. ევროპიული რეპერტუარისთვის ჩვენ დასს არ შესწევს არც

---

— დღეს როგორღაც იგვიანებს ჩემი ბულბული! —ნაღვლიანად წარმოსთქვა თინამ და იქვე ტახტზე ჩაფიქრებული მიესვენა.

— სვიმონი თუმცა ხნიერია, ბუტბუტებდა თავისთვის თინა, მაგრამ შეძლებული და ცნობილი ვექილია, მას ყველა პატივსა სცემს და მისი ცოლიც ხომ ყველასაგან პატივცემული იქნება! დღეს მოვა ცოლად წაყოლას მოთხოვს და მეც უნდა დავთანხმდე; მაგრამ ჩემი გიორგი?...

გიორგის მოგონებაზე თინა მთლად კანკალმა აიტანა, გულმა საგრძნობლად რაკარუკი დაუწყო, სახე ცეცხლივით აენთო, თვალები აუთამაშდა და ისე უგონოდ აქეთ იქით იცქირებოდა, თითქოს სურდა, რომ იმ წამს გიორგი გვერდით ჰყოლოდა, თავის აღხნებული გულით მას ჩაჰკონოდა, ეალერსნა, ეცელქნა, სულით და გულით მასთან გაერთიანებულიყო, მის გულიდან ამონადენ ნექტარს დაეტკბო და სიცოცხლის უკანასკნელი ბედნიერება მიეცა. თინა ჯერ არ გამორკვეულიყო, რომ ამ დროს ბულბულმა შეიფთხრიალა და ჯანჯრის წინ ვარდის ბუჩქზე შემოჯდა.

— იმღერე, ჩემო ერთგულო ბულბულო, იმღერე!—ათრთოლებული ხმით ევედრებოდა თინა ბულბულს და სიმღერის გასაგონად ძალას იკრებდა.

„იცი რა ნეტარებაა, უსტვენდა ბულბული, როცა ვარდის ბუჩქზე ზიხარ და მზის სხივები გულს გიბრწყინებენ, ან მთვარიან ღამეს ნელად გადაშლილ ვარდის გულს დაჰხარი და შეჰღაღადებ! როდესაც ტყის ნელი საამური შრიალი, აშწვანებული ველი და ათასნაირ ყვავილებით გაფერადებული მინდორი გულს ისე სასიამოვნოდ ჰლევს, აჩქროლებს და ზღვასავით აღელვებს! ჰო, კარგი რამ არის სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეს სიყვარული სჯობია, იგი ყოვლად შემძლებელია, იგი ყვავილებით აჭრელებულ ველ-მინდორს ზურგს შემოიფენს, დედამიწას ფეხზე გაიკრავს, კლდე-ღრეს სამოთხედ გარდაქმნის, დაბურულ ტყეს ფრთად მოიმართავს და იქ, სადღაც შორს, ცის სივრცეზე მიკრულ მოციმციმე ვარსკვლავთან, ცეცხლივით ანთებულ გულით, შეუჩერებლად მიგაფრენს“!..

რბილ ბალიშზე მიწოლილი თინა სულ განაბული ყურს უგდებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოეღო; გაშტერებული სახე მინაზებული ერთ წერტილს მისჩერებოდა; გიშერივით შავი თმა გაშლოდა და ბალიშს უსწორ-მასწორად გადაჰფენოდა; მილულულ თვალებს, გრძელი შავი წარბებით, მოქარგულს, ზარმაცად ატრიალებდა; ბამბასავით თეთრ პატარა კბილებს ჰიაფერსავით წითელი ტუჩები გარს შემოვლოდენ და ისე შეუმჩნევლად ხტუნაობდენ, მოძრაობდენ; მარმარილოს ქვასავით გამოქანდაკებული მკერდი გამოსჩენოდა და ზედ ახლად აკოკრებული გული ხან უთამაშებდა, ზღვასავით ღელავდა, ჰაერსავით მსუბუქი ხდებოდა, ხან კი დამძიმდებოდა და დასუსტებული მწარე კვნესას ცდილობდა; თინა ფერ მიხდილი აჩქროლებულ გულს ზემოდან დაჰყურებდა.

ბულბულის სიმღერამ გიორგის სიყვარული მის გულში ჩაუქრობელ ცეცხლად გარდაქმნა და თუ ეს გრძნობა უწინ მჩქეფ ჩანჩქერად გადმოხეთქავდა, ეხლა ბალღამად გუბდებოდა და გამოსასვლელ გზას ვერ პოულობდა.

— გიორგის ვერ ვუღალატებ;—თინამ უცბად გიჟივით წამოიძახა, მე ის ძლიერ .. ძლიერ მიყვარს... მაგრამ ღარიბი რომ არის, რითი ვიცხოვროთ?..

ბულბული ისევ თავის კრიალა ხმით კასძახოდა: „სიყვარულს ბაგე სავსე აქვს ნეტარებით და სუნთქვა უკვდავებით! სიყვარულის ძალა რკინას დაადნობს, მშვიდობიან ცხვარს გაამძვინვარებს და გამხეცებულ ლომს დააწყნარებს! ოჰ საოცარი, ზეციური რამ არის სიყვარული! ყველა კასასყიდია წუთისოფელში და სიყვარულს კი ქვეყნის თვალმარგალიტადაც ვერავიე იყიდის!“.

— არა, ბუტბუტებდა ისევ თინა, გიორგი მაინც მიყვარს და ჩემი გული სამუდამოთ მისი იქნება.. სვიმონი კი... დაე იყოს მხოლოდ მდიდარი **ქმარი**.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბულბულს ხმა ჩაუწყდა... აღარ უსტვენდა...

— —

— თქვენ ვგონებ იცით დღეს რისთვისაც მოვედი,—მოკრძალებით ეუბნებოდა სვიმონი, მსურს უკანასკნელი პასუხი შევიტყო:—თქვენ მე ძრიელ მიყვარხართ და ცოლად უნდა გითხოვოთ...

— მე... მე თანხმა ვარ, გაუბედავად მიუგო თინამ თან კი მის სახეს რაღაც უკმაყოფილება დაეტყო და რომ არავის შეემჩნია, თავი მორცხვად ძირს დახარა.

— როგორ, თანახმა ხართ? შეჰყვირა სვიმონმა და თინა გულში მაგრა ჩაიკრა და კოცნა დაუწყო.

თინა სვიმონის უსწორმასწოროდ გაშვერილ წვერ ულვაშს თავს არიდებდა.

ბულბული კი იქვე ხის პატარა ტოტს აბუზული ამოფარებოდა და ახალ მიჯნურთ ფანჯარაში დაღონებით შეჰყურებდა...

ხმას არ იღებდა... აღარ უსტვენდა...

**გ. მოუსვენარიძე.**

საშულება, არც ცოდნა, არც გ.მოვნება და არც ენერგია. ჩვენი ცხოვრებიდან ალებულ პიესებში კი იოლად გადიან ფონს ინტუიციით.

სამშაბათის წარმოდგენა არ იყო ნაყოფი შრომისა, არამედ იმ შესაძლებლობისა, რომელიც პოტენციალურად ჩამარხულია ჩვენს დასში. თუ სამშაბათის წარმოდგენა კარგი იყო, ნორმალურ მუშაობას შეეძლო შედევრიც კი მოეცა.

თვით პიესა გედევანიშვილისა უკეთესი გამოდგა სცენაზე, ვიდრე კითხვის დროს მეგონა. უადგილობა ნებას არ მაძლევს ვრცლად შევეხო პიესას, ვიტყვი მხოლოდ, რომ „მსხვერპლს" საპატიო ადგილი ეკუთვნის ჩვენს დრამატურგიაში. ამ პიესის ღირსება მით უფრო იჩენს თავს, რამდენადაც იგი უკეთ იქნება დადგმული და განსახიერებული.

სამშაბათის ალსანიშნავ წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებ დაესწრო და სწორედ ვერ გაგვიგია ქუთაისის საზოგადოების ის უკულმართი ფსიხოლოგია, რომელიც მას მიერეკება დახავსებულ მელოდრამებზე და სალი გრძნობის მაჩვენებელ პიესებს კი გაურბის.

ამ სალამოს ალმსრულებელთა შორის თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ გ. იმხნელი. მოხარული ვარ, რომ მსახიობმა გაამართლა ჩემი იმედი, მიყუჩებულ თავის ძალას თვალები მოაფშვნეტია და გიგუა ტეტიაშვილის სახე ასე ხელოვნურად დაჯვისახა. მთელი სალამო მსახიობი მრთოლვარე ნერვით სცოცხლობდა სცენაზე. მხოლოდ ორი შენიშვნა მსახიობს: რად გამოგვაპარა მეტად საინტერესო სცენა, როდესაც ვანო თვით იდებს ბრალს, რომ სოფელი გაუაარჩინოს. ამ დროს გიგუას განცდა მეტად საინტერესოა მაყურებლისთვის და მსახიობისთვისაც მდიდარ მასალას იძლევა. ბ-ნ იმხნელს თამამად შეეძლო გამოეშკარავებინა იმ წუთის სულის კვეთება თავისი გმირისა. მეორე—უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო თვით მსახიობი უკანასკნელ მოქმედებაში ნატოს აზურთავებმა. რაც უფრო მარტივია და მცირე ჟესტი სცენაზე, თუ კი შინაგანი განცდა მდიდარია, მით უკეთ შთაბეჭდილებისია ყოველთვის. ამ მხრით ალსანიშნავია დ. მკალობლიშვილი (თავ. ვასო, ბოქაული). თუ ამ მსახიობს აქამდის ვუსაყვედურებდით ჟესტთა სიმრავლეს, დღეს ეგ არ ითქმის და მოიგო კიდეც მსახიობმა. დადებითი მხარეები ალსრულებისა გაცილებით სჭარბობდა ამ სალამოს მსახიობს, ვიდრე უარყოფითი. შალიკაშვილის გულგრილობა, სიმშრალე გადნო ამ სალამოს გაბუას სახემ. მსახიობმა მოგვცა საკმაოდ მხატვრული სახე სოფლის მოხუცისა. კარგი იყო ნ. გვარამეც, ცოტათი, რომ ბოშას არ დამსგავსებოდა. ცაცაშვილს დაცული ქონდა ტიპი ქართლელი მამასახლისისა. მ. გელოვანი ხშირად აუტანელია თავისი სიზარმაცის წყალობით; კაცს გაფიქრებინებს კიდეც, ნუ-თუ ამ მსახიობს შეუძლიან სცენაზე დარჩესო, მაგრამ, ჩემს გაკვირვებასა და სიხარულს საზღვარი არა ქონდა, როდესაც გელოვანის მიერ განსახიერებული აშკარა ნესჩასტლივცევი ვნახე (რუსული წარმოდგენა გ. იმხნელისა: „ტყე"—ოსტროვსკისა). ეს იყო ნამდვილი შედევრი და მე მეგონა პირველხარისხოვან, სახელგანთქმულ მსახიობის თამაშით ვტკბებოდი. ამ სალამოსაც გვიჩვენა გელოვანმა ნატეხი მხატვრული სახისა. მხოლოდ თავიდან ბოლომდი ვერ დაიცვა იგი.

ნ. ჯავახიშვილი (მარიამი) თავისი ტრაგიული განცდით საყურადღებო განსახიერება იყო უბედური დედისა. მხოლოდ მე ვარჩევდი გარეგანი გამოსახულება ასეთი ხმამაღალი არ ყოფილიყო და გრძნობათა განცდაზე გადაეტანა მთელი სიმძიმე თავისი მდგომარეობისა. ეს უფრო ხელოვნური შემოქმედება იქნებოდა. უნდა შევნიშნო აქვე, რომ ეს რეჟისორმა უნდა უკარნახოს მსახიობს.

ბ-ნ მურუსიძეს არ შესწევს ბუნებრივი პლასტიკა და ამიტომაც მისი ვანო მშრალი გამოვიდა. ამას გარდა მეტად უხერხული იყო, როდესაც სარჩობელაზე გაგზავნილი მსახიობი მეორე მოქმედებაში მომღერლად მოგვევლინა.

ვ. აბაშიძეს საქუა ვერ იყო მსახიობის ნიჭისა და უნარის შესაფერისი ტიპი. გრიმიც ისეთი გაეკეთებინა მსახიობს, რომ მისი პროფილი სპარსელს მოგაგონებდათ.

ტასო აბაშიძე და ბ. თოხარელი მთელი ... ხელს უწყობდა.

სალამო ხელს გვიშლიდა. ორივეს ალლო ლალატობდა და ისეთ ადგილას გაუსვამდენ კომიკურ ხაზს, სადაც სრულიად უადგილო იყო. ალვნიშნავთ ორ ასეთ მომენტს ტასო აბაშიძისას. პირველი, როცა ხალხ ს დუმილის დროს (1 მოქ.) ვილაცას თავში ჩაკრა, მეორე, ყაზახების მოახლოვების შიშით, რომ ხალხი გაქცევას დაადგა—ტ. აბაშიძემ ისეთი ტრიალი დაიწყო, რომ დარბაზის სიცილი გამოიწვია. მსახიობი ფიქრობს ალბათ, რაკი კომიკური ხასიათის აქტრისა ვარ, რა პიესაშიაც უნდა ვითამაშო, ჩემი მიზანია რაც შეიძლება მეტი ვაცინო საზოგადოებაო. ეგ შემცდარი აზრია. მსახიობს უნდა აინტერესებდეს პიესის მთლიანობა, ხელს უნდა უწყობდეს, და კი არ უშლიდეს მთლიანი შთაბეჭდილების მიღებას. თუ მსახიობს არ ესმის ეგა, რეჟისორის მოვალეობაა საზღვარი დაუდვას მსახიობის ენერგიას.

ფრიად სუსტი იყო ქ. გორდელი (ქნ. ბარბალე) ახალგაზდა მსახიობს ჯერ-ჯერობით არ შესწევს ღონე ასეთი მძიმე როლის ასასრულებლად. მ. მდივანმა განასახიერა მკრთალი ხატება თავადის ასული სონასი. ვ. გუნიას (თავ. სოლომონი) ალბად უნდოდა მოეგონებინა ჩვენთვის, რომ ქართველებს ანტროპოლოგია გრძელ თავის ქალით მქონებელ ხალხად ცნობდა. აუტანელი იყო ბ. სარელი (სიმონა). თავისი ერთ ტონზე გაბმული რეჩიტატივით. ტკეპნით ლაპარაკი—ისიც ერთ კილოზე, ვერავითარი ნიშანდობლივი თვისებაა ქართლელი გლეხისა.

პროგრამაში ალნიშნულ ქ. დავითაშვილის მოადგილე მსახიობმა—ქ. ქილარჯიშვილმა ვერ სძლია ნატოს ტრაგედია. ვერც ვიგრძენით მისი იძულებული ცოლობა გიგუასი და სიყვარული ვანოსი, ვერც შესაფერისი ქენჯნა სინიდისისა, იძულებული დუმილით გამოწვეული. მაინც მსახიობი ხელს არ უშლიდა დანარჩენებს და გულწრფელად მხარში უდგა ამხანაგებს.

აქ ერთი შენიშვნა უნდა მოვიხსენიოთ. ვერ გაგვიგია—რად არის ქუთაისის სცენა მოედანი, სადაც ყველას, როცა თვითონ მოისურვებს, ან როცა „ზოგიერთებს" აეშლებათ სალეროლელი, შეუძლია თავისუფლად შევიდეს და გამოვიდეს. ზოგჯერ გ. იმხნელია გაძევებული, ზოგჯერ მ. გელოვანი ვერ თამაშობს, ზოგჯერ ტ. აბაშიძე ზის გულზე ხელდაკრეფილი. ახლა კი დავითაშვილის ქალი „უკვალოდ დაიკარგა". ყოველივე ამის წყალობით ისჯება საზოგადოება, ბრკოლდება თეატრის საქმე. ნუ-თუ იმდენი შეგნება არ მოეპოვება ჩვენი თეატრის მუშაკთ, რომ თავიდან ნაკისრი მოვალეობა ბოლომდი უნდა შეასრულონ? სად არის დისციპლინა, უომლისოდაც არავითარი საქმის წარმოება არ შეიძლება. განა ძნელია კულისებიდან მოქმედების დროს არავინ იცქირებოდეს? ეგ ხომ სცენის მოყვარეთა წარმოდგენების დამახასიათებელი თვისებაა.

მოულოდნელად ჩაწებული იყო სალიანგო, სცენა პირველი მოქმედებისა, უკანასკნელს (3 მოქ.) რომ არ ჩაემწარებინა. ხალხი გიგუას სიკვდილით დასჯას ითხოვს და ამავე დროს დიდი უმეტესობა სტატისტებისა იცინის. ეს მიუტევებელი დანაშაულია მათთვის. თუ პირველ მოქმედებაში შეძლეს საჭირო და შესაფერისი სულის განწყობილების მონახვა, განა შეუძლებელი იყო მესამე მოქმედებაშიაც მართებულად მოქცეულიყვნენ?

რამდენიმე აუცილებელი შენიშვნა რეჟისორს: მთელი სალამო ხელს უშლიდა პიესას თუნუქის რახუნი, რასაც გრგვინვა უნდა მოესწავებინა. ხელი შეუშალა სიმღერის სცენას გოგო-ბიჭის დავამ. სცენაზე, ვიდრე ერთი ნაწილი მოქმედებისა არ დასრულდება, მეორე არ უნდა შეიჭრას, თორემ სხვადასხვა მომენტების ერთმანეთში გადახლართვა ლუპავს ერთსაც და მეორესაც.

წეს-რიგი სუფრაზე მსხდომთა ვერ იყო მართებული: ბოქაული არაოდეს არ მოისვამს გვერდით მწერალს. სალოლესაც, ისიც ჯერ დაუნიშნავს, არავინ მოისვამს მარცხნით, პირ-იქით, დედას, რომ მარცხნით მოსვა ქალი, მაშინ სასიძოც ქალის მარჯვნით მოექცეოდა. სრულიად ზედმეტი იყო პიესის დასაწყისში კონცერტი ბატთა, იხვთა, ქათამთა და ძაღლთა

აუცილებლად საჭიროა 2 მოქმედებაში კაკლის ხე, რაც ავტორსაც აქვს ალნიშნული, სხვაფრივ ლამაზად დადგმულ მოქმედებას ეს აუცილებელი ატრიბუტი

ტკბილი სიმღერა მეორე მოქმედებისა სასიამოვნო მოსასმენი იყო.

მიუხედავათ ალნიშნულ ნაკლთა შედარებით ჩინებული იყო 20 იანვრის წარმოდგენა. კმაყოფილი დარჩა ყველა, ვინც კი დაესწრო. თუ კი ამ გზით ივლის ჩვენი დასი, ჩვენც დიდათ მოხარული ვიქნებით, რადგანაც ეგ არის ერთად-ერთი გზა ხსნისა რუტინისაგან და საუმჯობესო მერმისის მომასწავებელი.

აკაკი ფალავა.

## დაბა-სოფელი.

**ს. ონტოფო** (სენაკის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სენაკის მაზრის აღმოსავლეთ მხარეში და გადაჭიმულია მდინარე აბასტარა ცხენის წყლის ნაპირას. აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, საცა ექვსი მასწავლებელია; არსებობს მასთან ათთიაკი და უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო მგოსან აკაკის სახელობაზე. გაშენებულია მასთან აქ რამდენიმე დუქანი, რომელსაც სოფლელები „დუქანკარს" უწოდებს. ამ დუქნებში იყიდება ყოველივე წვრილმანი და ამიტომ სოფელს, თუ რისიმე ყიდვა დასჭირდა, სხვაგან წასვლა მაინცდამაინც არ სჭირდება.

ომის გამო ყველა ნამსახური ახალგაზდა ბრძოლის ველზე გაიყვანეს და დარჩა მათი ცოლ-შვილნი ყოველივე იმედს მოკლებულნი. სოფელი ნივთიერათ ძლიერ გაჭირვებულია და ომში გაწვეულთა ცოლ-შვილებს დახმარებას ვერ უწევენ.

ამასთანავე გაჭირვების დროს სხვა „სიკეთესთან" ერთად ქურდ ბატეებმაც იჩინეს თავი. სოფლის ბნელი ძალები გამოცოცხლდენ და კვლავ ენერგიულად იწყეს თარეში.

რამდენჯერმე იყო ალნიშნული გაზეთის ფურცელზე მათი საზიზღარი მოქმედება და ის, თუ რა ზარალს აყენებს სოფელს ამასთანა თარეში, მაგრამ მაინც არ იქნა ამ ქურდების საშველი.

ნეტა როდის მოეღება ამ საშინელ სენს ბოლო.

ვარ. ხობისწირელი.

## სია

**ქართველთა შორის წერა კითხვის საზოგ. ქუთაისის განყოფილების 1914 წლის წევრებათ ჩაეწერენ:**

49. დიმიტრი ბახტაძე, 50. დიმიტრი ბახტაძის ასული ელენე, 51. ნოე მიქაძე, 52. თავ. ამირიდონ გრიგოლის ძე წერეთელი, 53. გიორგი ლევანტის ძე ებრალიძე, 54. თამარ ნხეიძის ასული დორთქიფანიძისა, 55. დავით ექვთიმეს ძე დორთქიფანიძე, 59 ნოე დომინის ძე კორძაია, 57. ბიკტორ სამსონის ძე ასათიანი, 58. თავ. პარმენ მიქელაძე, 59. ქნ. ევგენია ნასარიძის ასული მიქელაძისა, 60. ალექსანდრე ლასას ძე დორთქიფანიძე, 61. იოსებ პავლეს ძე გვეტაძე, 62. მაქსიმე ზვიადაძე, 63. სვლე წერეთელი, 64. გიორგი გორდაძე, 65. გრიგოლ ნიკოს ძე გლატკავა და ეკატერინე, ალექსანდრე დადიანის ასულმა შემოსწირეს თითო მან.

**1915 წლის წევრებათ ჩაეწერენ:**

66. პლატონ ძვად-ძალის ძე ქირდავა, 67. ილია ქაიხოსროს ძე თაყაიშვილი, 68. დავით სიმონის ძე კლდიაშვილი, 79. ილია დანელია, 70. გრიგოლ დავითის ძე გველესიანი. 71. მარიამ დავითის ასული კერესელიძისა, 72 მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა, 73 მარიამ გიგოს ასული ქუთათელაძისა, 74. სამსონ სიმონის ძე გეგეჭკორი.

**1914 წლის საწევრო გადასახადი შემოიტანეს და სიაში არიან შეტანილი:**

75. მარიამ ვარდოსანიძე, 76. ტრიფონ ჯაავარიძე, 77. გიორგი ბადრიძე, 78. ვერა კორძაია, 79. პლატონ ხიზანაშვილი, 80. ტარასი სოხაძე, 81. ელენე ხელთუფლიშვილი, 82. ვერა ფხაკაძე, 83. კონსტანტინე შანიძე, 84. ევსევი ნიკოლაძე, 85. ოლღა კლდიაშვილი, 86. ნინო აბესაძე, 87. სპირიდონ ლეკვეიშვილი, 88. ვლადიმერ ვეკუა.

შემდეგი იხილვ. „იმერეთი" მე-7—№.




## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. | 50 წ. | დილით. |
| | 11 ს. | 30 წ. | ლამით. |
| **ბათომიდან** | 10 ს. | 5 წ. | დილით. |
| | 2 ს. | 23 წ. | ლამით. |
| **ფოთიდან** | 10 ს. | 30 წ. | დილით. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. | 55 წ. | დილით. |
| | 1 ს. | 7 წ. | ლამით. |
| **ბათომში** | 10 ს. | 7 წ. | სალამოს |
| | 4 ს. | 27 წ. | დილით. |
| **ფოთში** | 4 ს. | 14 წ. | დილით. |

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

## სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე გ. გ. გიგინეიშვილი. თ.

ფოთის ახალ მაღაზიაში „უნივერსალ"

**ქარვასლის ქუჩაზე, პრავადნიკის პირდაპირ**

## მაღაზიაში იყიდება მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეინის, შლიაპების და ხელსაწარმოები საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟევები, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუპკები, ქალების, ბავშების და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონლებზე დაკლებულია 50 % ფაბრიკის ფასი

თ. პატივის ცემით აინბინდერი.



ვაუწყებ პატივცემულ მყიდველებს, რომ მე გამოვეყავი ნ. ს. ტერპის ფირმას და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის" პირდაპირ

## საკუთარი მაღაზია;



ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა შემლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინიდისიერეთაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.



მისამ. წერილ. და დეპეშ. ქუთაისი. აბრამ ტერკი.

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . 35 „

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.** თ.